# ღია წერილი „ადამონ ნიხასს“!

**ამ** წერილს გწერთ ბაკურიანის სპორტის ზამთრის სახეობათა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლაში გაერთიანებული ოსი სპორტსმენები, მწვრთნელები, მსაჯები და თანამშრომლები.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ წერილის დაწერა ნაკარნახევია ჩვენი პირადი გრძნობებით და არავის დავალებით, წინადადებით, კარნახით ან რჩევით (ღმერთმა დაგვიფაროს ამგვარი ფანდისაგან!).

ალბათ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ოსი ერის, მისი ენის, კულტურის, ხელოვნების, ტრადიციების, წარსულის, მომავლისა და, რა თქმა უნდა, სპორტის ბედი, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი რამაა.

შექმნილი მდგომარეობით ჩვენ დღეს დაბნეულებიცა ვართ და აღშფოთებულნიც. დაბნეულები იმიტომ, რომ ვერ გაგვირკვევია რა მოტივით წარმოიქმნა ეს დაძაბულობა ორ ნამდვილად მოძმე, ქართველ და საქართველოში მცხოვრებ ოს ხალხს შორის. ჩვენს თავზე რომ არაფერი ვთქვათ, არ შეგვხვედრია ჩვენი ეროვნების არც ერთი წარმომადგენელი, რომელსაც ეთქვას, რომ ოდესმე, სადმე საქართველოში, ოსეთისა და ოსების საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელი ან უბრალოდ საწყენი ქმედების მოწმე ყოფილიყო.

აღშფოთებულნი იმიტომ, რომ, როცა საუკუნეების მანძილზე ყოველმხრივ თანასწორუფლებიანი ხარ მოძმე ხალხის ქვეყანაში, დაუყვედრებლად სარგებლობ მისი ყველა სიკეთითა და იზიარებ მის გასაჭირს, რატომ აიმაღლე ხმა მის წინააღმდეგ? ისიც ქართველი ერის ცხოვრების ერთ-ერთ რთულ და კრიტიკულ პერიოდში! ან რა უფლებით აყენებთ უსაფუძვლო მოთხოვნებს, ისიც ყველა ოსის სახელით?

მიუხედავად დაძაბული ვითარებისა, დღესაც არც ერთ ჩვენთაგანს არსად და არავისგან არ გვიგვრძნია უბრალო სასაყვედურო მზერაც კი. ჩვენ დღეს თვალს ვერ ვუსწორებთ ბავშვობიდან ერთად შეზრდილ ქართველ მეგობრებს, რომლებთანაც ლხინსა თუ მწუხარებაში მუდამ ერთად ვიყავით და ვართ.

არასოდეს გვიფიქრია, რომ რესპუბლიკის ნაკრებ კოლექტივში ქართველები და ოსები სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები ვიყავით. ჩვენთვის, სპორტსმენებისათვის და, ეჭვი არ არის, მთელი საქართველოს ქართველი და ოსი მოსახლეობისათვის, ერთნაირად სასიხარულო იყო კობა წაქაძისა თუ ზელიმხან თვაურის, იბრაჰიმ ჯანგობეგოვისა თუ გერა აბრამიშვილის, იოსებ ნასყიდაშვილისა თუ პავლე, შოთა და შალვა კოზანაშვილების, ნიკოლოზ მიქაბერიძისა თუ ლეკო ქუმარიტაშვილის, ლიანა გოგოლაძისა თუ გიორგი ჯიჩოევის, კუკური ფანჯაკიძისა თუ შოთა ჯეირანაშვილის, ოთარ ხვედელიძისა თუ ვიქტორ სანაკოევის და მრავალ სხვათა მიღწევები.

დღესაც ჩვენი მოკიგავეთა წყვილი — ლევან თიბილოვი და კახაბერ ვახტანგიშვილი „შეკრული“, მეგობრული და ერთ-ერთი უძლიერესი წყვილია მთელს კავშირში.

რამდენადაც არის ცნობილი, ამჟამინდელი დაძაბულობის საწყისი თქვენგან მომდინარეობს, ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, უფრო ღრმად და გულდასმით გადახედოთ თქვენს მიერ წამოჭრილ პრეტენზიებსა თუ მოთხოვნებს, და თუ უსაფუძვლო მოთხოვნებიდან უკან დახევაა აუცილებელი, სწორედ თქვენ უნდა მოიმოქმედოთ იგი, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ მსგავსი საქციელი ბევრად უფრო ვაკაცური და პატიოსანი იქნება, ვიდრე მათი ჯიუტად დაცვა.

საერთოდ, სანამ რაიმე ეროვნული საკითხების დასმა გადაწყდება, აუცილებლად მიგვაჩნია, მასში მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ერის ყველაზე გონიერმა, ავტორიტეტულმა და გამოცდილმა ადამიანებმა, საქართველოში მცხოვრებმა მთელმა ოსმა ხალხმა და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცეს უფლება ნებისმიერ საზოგადოებას თუ წარმომადგენლობას ოსი ხალხის სახელით ილაპარაკოს.

დღეს საქართველოს სპორტსმენები — ქართველები, ოსები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, ერთ მტკიცე კოლექტივად ქცეულნი, სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის VII სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებებისათვის ვემზადებით.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო, ჭეშმარიტად ეროვნული საკითხებია გადასაჭრელი და ამ დროს საფუძველს მოკლებული, პირდაპირ ვიტყვით, ძირგამომთხრელი საქმიანობა ორივე ერის ხალხების წინაშე ღალატის ტოლფასია!

ვფიქრობთ, მტკიცებას არ საჭიროებს ის, რომ საქართველოში მცხოვრებ ოს ხალხს ქართველებზე უახლოესი და უერთგულესი არავინ ჰყოლია და თუ გაუიერება და საძმოლიანობა ეჭირჯებს, ასე იქნება მომავალშიც.

იმედი გვაქვს, რომ ოსი ეროვნების ყოველი მოქალაქე, ვინც საქართველოში ცხოვრობს და ვისაც ოსი ხალხის სიკეთე და ბედნიერება სურს, ხელს შეუწყობს ორი მოძმე ერის ურთიერთობაში დაუშვებელი და გაუმართლებელი დაძაბულობის აღმოფხვრას, რათა ვიცხოვროთ ისე, როგორც ამას ერთიანი, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი მოითხოვს!

**ყაზბეგ თიბილოვი — ზამთრის სახეობათა უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი; ანზორ სანაკოევი — საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი; გურამ სანაკოევი — ბაკურიანის სპორტკომბინატის დირექტორი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი; იბრაჰიმ ჯანგობეგოვი — სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი; ბეჟან ქუმარიტაშვილი — საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში, სპორტის ოსტატი; თამაზ ქუმარიტაშვილი — საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ხაციგაო სპორტში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი; ფელიქს ქუმარიტაშვილი — საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ნატურბანში, საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონი, სპორტის ოსტატი; ბორბი ჯიჩოევი — ბაკურიანის სკოლა-ინტერნატია ფილიალის უფროსი მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის პრიზიორი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, სპორტის ოსტატი; შალვა კოზანაშვილი — მწვრთნელი, სპორტის ოსტატი; ვალერი კოზანაშვილი — მწვრთნელი; ალექსანდრე ბაკაევი — მწვრთნელი-მეთოდისტი; ნოდარ ჯეირანაშვილი — ბაკურიანის სპორტსკოლის დირექტორის მოადგილე; ჯუმბერ გაგლოევი — მწვრთნელი; თემურ გაგლოევი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი; ლიოვა თიბილოვი — მწვრთნელი; ლევან თიბილოვი — საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი; ზელიმხან თვაური — მწვრთნელი, სპორტის ოსტატი; დავით ქუმარიტაშვილი — მწვრთნელი, სპორტის ოსტატი; გია დიაკონაშვილი — მწვრთნელი, სპორტის ოსტატი; ალან თიბილოვი — სპორტის ოსტატი; ოთარ სანაკოევი — სპორტის ოსტატი; ზურაბ ჯიჩოევი — სპორტის ოსტატი; ავთანდილ ჯანგობეგოვი — სპორტის ოსტატი; ზაზა ჯიჩოევი — სპორტის ოსტატი; ზაზა გაგლოევი — სპორტის ოსტატი.**

**ავტორების თხოვნით ამ წერილის ჰონორარი გადაერიცხება „დიდი ბაკურიანის“ განაშენიანების ფონდში.**

## როგორი იქნება ბაკურიანი 1998 წელს?

**როგორც ადრე გაუწყეთ, გაიხსნა საბანკო ანგარიშსწორების ანგარიში დევიზით — „ბაკურიანი-98“. ანგარიშის ნომერია**

# 00070045

**სსრ კავშირის გინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს საოპერაციო სამმართველო.**

**„ბაკურიანი-98“. ამ პატრიოტული აქციის მიზანია საკუთარი თავის იმედით, საკუთარი სახსრებით, საკუთარი ენერგიით კეთილმოვაწყოთ ბაკურიანი, გავაშენოთ და დავამშვენოთ ისე, რომ 1998 წლისათვის ჩვენი „თეთრი შარგალიტი“ არაფრით ჩამოუვარდებოდეს ზამთრის ოლიმპიურ ცენტრებს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით 1990 წლიდან საქართველოში გათანაბრდება საბანებო ლატარეა — „ბაკურიანი-98“.**

# „ლელოს“ რედაქციას!

**ბორჯომის** რაიონის მშრომელებისა და მთელი რესპუბლიკის იმედი, რომ ბაკურიანი გაიმარჯვებდა საბჭოთა კავშირის იმ კანდიდატთა შორის, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ 1998 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობაზე, ცრობილი ტენდენციურობის გამო არ გამართლდა. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ფარ-ხმალი დავყაროთ. პირიქით, სწორედ ახლა გვმართებს გაათკეცებული ენერგიით მუშაობა, რათა არ დაიკარგოს ზამთრის სპორტის სახეობათა განვითარების ის მშვენიერი ტრადიციები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკას და კერძოდ ბაკურიანს გააჩნდა და გააჩნია. საერთო ძალებით უნდა შევასრულოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის ცნობილი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს „დიდი ბაკურიანის“ შემდგომი განვითარების ფართო პერსპექტივებს.

მივესალმებით რა შესანიშნავ ინიციატივას რესპუბლიკაში ახალი თაოსნობის — „ბაკურიანი — 98“ ფართოდ გაშლის შესახებ, ვთვლით, რომ ეს თაოსნობა დიდად შეუწყობს ხელს სპორტული ბაკურიანის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ამოცანის პრაქტიკულად გადაჭრას.

ახლა მთავარია ერთსულოვნად ავუბათ მხარი თაოსნობას და საქართველოს ყველა შრომითმა კოლექტივმა, სპორტსმენმა თუ რიგითმა მოქალაქემ თავისი კონკრეტული წვლილი შეიტანოს ამ საშვილიშვილო საქმეში. აქვე დავძენთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროებს და უწყებებს კონკრეტული დავალებები აქვთ მიცემული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს 1986 წლის ზემოაღნიშნული დადგენილების შესასრულებლად. მაგრამ მათ მიერ დღემდე გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებელი არ არის. კარგად გვესმის, რომ პირველი სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის. ბორჯომის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა, მშრომელებმა, პარტიულ-სამეურნეო და სპორტულმა აქტივმა განიზრახეს ყველაფერი გააკეთონ, რომ ბაკურიანის კეთილმოწყობისა და ეროვნული ოლიმპიური მოძრაობის აღმავლობის საქმეში აამოქმედონ ყველა რეზერვი, პირველ რიგში პასუხი მოსთხოვონ რესპუბლიკის სამინისტროებს და უწყებებს, რომლებიც თავიანთი უნიათობით აფერხებენ საქართველოს სამაგალითო კურორტისა და სათხილამურო სპორტის ცენტრის — ბაკურიანის კეთილმოწყობის საშვილიშვილო საქმეს.

მაშ, ყველამ ერთად ვიზრუნოთ ბაკურიანის მომავალზე!

**თ. პეტრიაშვილი,**
**საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი;**

**ნ. შაყულაშვილი,**
**სახალხო დეპუტატთა ბორჯომის რაიხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე;**

**ჯ. ბერიძე,**
**რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე;**

**კ. წაქაძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი;**

**ჯ. ზეინკლიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

## მსაჯი-ინფორმატორი მიკროფონთან

14 და 15 დეკემბერს

**როგორც ვიუწყებოდით, თბილისში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საექტო დარბაზში ჩატარდება რესპუბლიკური სემინარი მსაჯ-ინფორმატორთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ქართული ენის ცოდნის გასაღრმავებლად.**

**სემინარს ერთობლივად ატარებენ სეოკ-ი, ფიზკულტურის ინსტიტუტი და სპორტულ ჟურნალისტთა რესპუბლიკური ფედერაცია.**

**სახეობების მიხედვით სპორტულმა ფედერაციებმა, სპორტული ორგანიზაციებისა და ნაგებობების ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ სემინარზე მსაჯ-ინფორმატორთა გამოცხადება.**




საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 238 (10 157) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ირბ-ის სხდომაზე

**26-29 ნოემბერს** ლონდონში მინდინარეობდა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) საუალედო სხდომა, რომელსაც, საბჭოს წესდების თანახმად, მხოლოდ ირბ-ის რვა სრულუფლებიანი წევრი ქვეყნის ორ-ორი წარმომადგენელი ესწრებოდა.

საბჭოს მოყვარულობის საქმეთა კომიტეტმა განიხილა და მოიწონა ე. წ. მოყვარულობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში წესატანი ცვლილებანი, რომლებსაც, ინგლისისა და შოტლანდიის წარმომადგენელთა გარდა, საბჭოს ყველა წევრმა დაუჭირა მხარი. ამ შესწორებათა დამტკიცების შემდეგ მოთამაშეებს უფლება მიეცემათ გახსნან მაღაზიები, გაუწიონ რეკლამა სხვადასხვა საქონელს, მიიღონ გასამრჯელო ინტერვიუებისა და საჯარო გამოსვლებისათვის.

სხდომის გადაწყვეტილების თანახმად, მოწონებულ შესწორებათა დამტკიცება, აგრეთვე **ირბ-ის მოკავშირე წევრებად მხუთველთა, მათ შორის საქართველოს რაგბის კავშირის, მიღების საკითხის განხილვა მოხდება საბჭოს წლიურ სხდომაზე, რომელიც ლონდონშივე გაიმართება 1990 წლის 28-30 მარტს.**

ალტერნატივა? — მკითხველი ასე ფიქრობს...

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

**წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებები**

## უნდა დავფიქრდეთ!

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება ფეხბურთში მეტისმეტად ნაადრევია. ჩვენი გუნდების — თბილისის „დინამოსა“ და ალანჩხუთის „გურიის“ მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში კი აუცილებელი.

ეს გუნდები ებრძოდნენ და ებრძვიან ისეთ გრანდებს, როგორიცაა კიევის „დინამო“, მოსკოვის კლუბები — „სპარტაკი“, „დინამო“, „ტორპედო“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ და სხვა. ასეთ გუნდებთან პაექრობაში ჩვენმა „დინამომ“ ორჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა, ამდენჯერვე სსრ კავშირის თასი, ყველასათვის დაუვიწყარი ევროპის თასების მფლობელთა თასი, გამოდიოდა ევროპის ჩემპიონთა თასზე, აქ მისი მეტოქეები იყვნენ ინგლისის „ლივერპული“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგი“, გამოდიოდა უეფას ტურნირებზე... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

ლოგიკური აზროვნება აკლიათ ფეხბურთის იმ გულშემატკივრებს, რომელთაც სურთ, რომ თბილისის „დინამომ“ თავი დაანებოს სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობას. წელს ჩვენი „დინამო“ გადაურჩა უმაღლესი ლიგის დატოვებას. ეს ფაქტი ყველამ მტკივნეულად განიცადა. ახლა ავდგეთ და ჩვენი ნებით დავატოვებინოთ გუნდს უმაღლესი ლიგა, სადაც იგი ერთ-ერთი უცვლელი ბინადარია 1936 წლიდან? დავფიქრდეთ!

ახლა „გურიის“ შესახებ: 1986 და 1989 წლებში ამ გუნდმა დიდი ვაჟკაცობა გამოავლინა, როცა უმაღლეს ლიგაში გაუტოლდა ზემოჩამოთვლილ და სხვა გუნდებს. ახლა ეს გუნდები, პირველ ლიგას ვინ ჩივის, გამოვიყვანოთ და საქართველოს პირველობაზე ვთამაშოთ? რა პასუხს ვაძლევთ „გურიის“ და მის გულშემატკივრებს? არა, მეგობრებო! საქართველო უეფას წევრი ქვეყანა რომ იყოს, კიდევ შეიძლება ამაზე ფიქრი. მანამდე კი საქართველოს ჩემპიონატში თამაში ადგილის ტაეპნას დაემსგავსება.

ვითომ მეტი არ შეგვიძლია? ასე დაკარგა „დინამომ“ თავისი პრესტიჟი, რომ საკავშირო ჩემპიონატში არ გამოვაჩინოთ? ასევე ითქმის ქუთაისის „ტორპედოზე“, ბათუმისა და სოხუმის „დინამოზე“. ავიღოთ და ისინიც საქართველოს ჩემპიონატში ვთამაშოთ?

თუ ამ ჩემპიონატში ვთამაშებთ ჩვენს წამყვან გუნდებს, თავდაპირველად შეიძლება ეს შეჯიბრება საინტერესოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ მერე ხელში შეგვრჩება უფერული ჩემპიონატი, გაბა ეს ვინმეს აეჩვენებს? აქვე ვიტყვით, რომ ამ წესით სეზონის დასაწყისშივე გვეცოდინება საქართველოს ჩემპიონი და სხვა პრიზიორი.

თუ საქართველო მოიპოვებს ეროვნულ დამოუკიდებლობას, მაშინ შეიძლება (შექანიკურად) ავტომატურად გამოვიდნენ ჩვენი წამყვანი გუნდები საკავშირო პირველობიდან. მერე კი როგორც სუვერენული სახელმწიფო საქართველო ადვილად გახდება უეფას წევრი. მანამდე კი, როგორც უაზრო და უსაფუძვლო, ეს საკითხი ახლავე უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან.

**მზია მეგაღიშვილი.**

**ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივარი.**

# საგზურები განაწილდა

**თბილისელი** ნატო ეძგვერაძისა და სენაკელი რომან სიჭინავას გამარჯვებით დამთავრდა საქართველოს მოზარდთა 1989 წლის პირველობა ჭადრაკში (მათ შესაბამისად მოაგროვეს 9,5 და 10,5 ქულა). ამ უდავოდ პერსპექტიულ სპორტსმენთა წარმატება სრულიად დამსახურებულია. აღსანიშნავია, რომ ეძგვერაძემ ამ წარმატებას ტურნირის ფინიშზე ზედიზედ ექვსი გამარჯვებით მიაღწია, ხოლო სიჭინავამ ისე გაიარა შეჯიბრება, რომ არც ერთი პარტია არ წაუგია. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით მათ მწვრთნელებს გ. ხომერიკსა და გ. ტყემალაძეს.

გოგონათა შორის 9 ქულით მეორე ადგილზე გავიდა საგარეჯოელი ეკა ტაბატაძე, მესამე-მეოთხეზე — გ. გრიგალაშვილი და ი. ხურცილავა (ორივე — თბილისი) — 8,5-8,5 ქულა. ჭაბუკებში მეორე ადგილი დაისაკუთრა მ. კეკელიძემ (თბილისი) — 9,5 ქულა, ხოლო მესამე — გ. ქორიძემ (ჩოხატაური) — 8,5 ქულა.

დებულების თანახმად, როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის პირველ-მეორე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო პირველობაზე. იგი იანვარში გაიმართება.

სურათებზე: ნატო ეძგვერაძე და რომან სიჭინავა.

ჯემალ კახრაძის ფოტოები.

# სად არის ქართველ სპეციალისტთა დასაბუთებული აზრი?

**საქართველოს** ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული კონცეფციიდან გამომდინარე, როცა დღის წესრიგში დგას საქართველოს სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სუვერენიტეტი, ამოსავალი დებულებაც კომპლექსური უნდა იყოს და არა ცალმხრივი.

ამიტომ უნდა ვიბრძოლოთ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებისთვის არა მარტო ფეხბურთში, არამედ სპორტის სხვა სახეობებშიც, რომლებიც დანერგილია საქართველოში და აქედან უნდა გავიდეთ საერთაშორისო სარბიელზე.

მაგრამ, რადგანაც დღის წესრიგში ფეხბურთი დადგა, ვისაუბროთ ფეხბურთზე. ჯერ მინდა ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ საქართველოში დღემდე არსებულ ქართულ საფეხბურთო კონცეფციაზე. ამ კონცეფციის თანახმად 30-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენში ჩამოყალიბდა ერთი საკლუბო გუნდის კულტი, რომლის თანახმად ქართული ფეხბურთი დაუმორჩილდა თბილისის „დინამოს“, ე. ი. მთელი ქართული ფეხბურთი გახდა მისი რეზერვი. ამ კონცეფციის თანახმად „დინამო“ უნდა იყოს უპირველესი და თუ მას სხვა რომელმე ქართულმა გუნდმა გადაასწრო, ეს ტრაგედიად აღიქმება. ამიტომ საკლუბო კონცეფციის ნაცვლად დღეს აუცილებელია სხვა ეროვნული საფეხბურთო პრინციპების ჩამოყალიბება და ამ გზით სიარული.

ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების იდეა დრომ და ქართველი ხალხის სულიერმა მოთხოვნილებამ მოიტანა. გარდა ეროვნული ღირსებისა, მას საკავშირო ჩემპიონატთან შედარებით მთელი რიგი უპირატესობანი გააჩნია.

1. ნებისმიერ ქართულ გუნდს საკავშირო ჩემპიონატში ერთი მატჩისთვის (გასვლითი თამაში) ჩასატარებელი თანხა ეროვნულ ჩემპიონატში მთელი პირველი წრის ჩასატარებელი მატჩებისთვის ეყოფა. რაც შეეხება მაყურებელს, ცალკეული გამონაკლისების გარდა, არა მგონია ნაკლები აუდიტორია შეიყაროს. განა ღირს მოსკოვში წასვლა „ლოკომოტივთან“ სათამაშოდ 2500 მაყურებლისთვის? მთავარია ჩვენი „გაკავშირებული“ აზროვნება ეროვნული ჩემპიონატისკენ მოვაქციოთ და ყველაფერი „ალაპოტში ჩადგება.

2. ეროვნული ჩემპიონატის უმთავრესი მიზანი ის იქნება, რომ საქართველოს გუნდები თავიანთი მიღწევების მიხედვით გავიდნენ საერთაშორისო სარბიელზე. ყოველივე ეს აამაღლებს კონკურენციას, ხელს შეუწყობს გუნდების შემდგომ დაოსტატებას და საერთო ჯამში აამაღლებს ქართული ფეხბურთის ავტორიტეტს.

ორიოდე სიტყვა ეროვნული ჩემპიონატის მოწინააღმდეგეთა შესახებ. ისინი შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ. პირველს მიეკუთვნებიან ისინი, ვისაც მთლიანობაში არა აქვს გააზრებული საქართველოს სრული სუვერენიტეტი, ხოლო მეორე ჯგუფი არა მარტო ეროვნული ჩემპიონატის წინააღმდეგია, არამედ საქართველოს სუვერენიტეტის გაგონებაც არ სურს. ამ კუთხითაც პოლემიკის გაგრძელებას დიდი ეროვნული მნიშვნელობაც აქვს.

დასასრულს მსურს ერთი კონკრეტული წინადადებაც წამოვაყენო, სანამ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებაზე გადავიდოდეთ: 1990 წლიდან ოფიციალურად შეიქმნას საქართველოს ეროვნული ნაკრები ფეხბურთში, დაინიშნოს მთავარი მწვრთნელი, შედგეს ნაკრების მომზადების გეგმა და საერთაშორისო მატჩების კალენდარი.

**გურამ ჩიქოვანი,**

**არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.**

P.S. წერილი გამოსაგზავნად მზად მქონდა, როცა „ლელოს“ 29 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა მიმართვა მკითხველებისა და გულშემატკივრებისადმი ეროვნული ჩემპიონატის ალტერნატიული პროექტის შემუშავების შესახებ. სანამ კონკრეტულ საკითხს განვიხილავდეთ, ორიოდე სიტყვა ქართული ფეხბურთის მესვეურებისა და სპეციალისტების შესახებ. ამ რამოდენიმე თვის წინ საკავშირო პრესაში გამოჩნდა ცნობა მეორე ლიგის რეორგანიზაციის შესახებ. ხოლო 29 ნოემბრის გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა რეორგანიზაციის შედეგები, საიდანაც ვიგებთ, რომ საქართველოს სამი გუნდი მოხვედრილა სამხრეთ-დასავლეთ ჯგუფში უკრაინისა და რსფსრ-ს ძლიერი გუნდების გარემოცვაში. უეჭველია ქართული ფეხბურთის მესვეურებსა და სპეციალისტებს ეს საკითხი არ სცოდნოდათ საკმაო ხნით ადრე, ამიტომ ვალდებულები იყვნენ პრესის ან სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით თავიანთი დამოკიდებულება გამოეთქვათ ცენტრის მიერ შემუშავებული რეორგანიზაციისადმი. ამიტომ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ფეხბურთის მესვეურები ვერ ფლობენ სიტუაციას, ან განგებ ხუჭავენ თვალს. კაცმა რომ მოინდომოს ვერსად იპოვი ქართველ „სპეციალისტთა“ რაიმე დასაბუთებულ აზრს, რომ დასაყრდენად გამოიყენონ ან მიემხრო.

ახლა კონკრეტულად საქმეზე. მეორე ლიგის ახალ რეორგანიზებულ ზონაში საქართველოს გუნდების მონაწილეობა სრულიად უპერსპექტივოა, ვინაიდან სამხრეთ-დასავლეთი ჯგუფი, სადაც ძირითადად უკრაინის გუნდები მონაწილეობენ, ქართულ გუნდებს არავითარ პერსპექტივას არ უტოვებს პირველ ლიგაში გადასასვლელად. ჩვენ ხელოვნურად უნდა გავაძლიეროთ რომელიმე გუნდი, რომ დასძლიოს ბარიერი, ეს კი ზიანის მომტანი იქნება.

ამიტომ უარი უნდა ვთქვათ მეორე ლიგაში მონაწილეობაზე. ყოფილი IX ზონის (მეორე ლიგა) ყველა ქართულმა გუნდმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ეროვნულ ჩემპიონატში საქართველოს პირველობაში მონაწილე პირველი ჯგუფის 8-10 გუნდთან ერთად (დაკავებული ადგილების მიხედვით). უნდა შეეიმუშაოთ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებისა და საბოლოო ჩამოყალიბების 3-წლიანი ციკლი. პირველ წელს ე. ი. 1990 წლიდან ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ ზემოთ აღნიშნული რაოდენობის გუნდები. მომდევნო, 1991 წლიდან მათ უნდა შეუერთდნენ პირველ ლიგაში მოსპარაზე ჩვენი გუნდები, ხოლო 1992 წელს უმაღლეს ლიგაში მონაწილე ჩვენი კოლექტივები. 1992 წლისთვის ეროვნულმა ჩემპიონატმა უნდა მიიღოს საბოლოო სახე და განისაზღვროს გუნდების რაოდენობა (ვითარების მიხედვით შეიძლება 3-წლიანი ციკლი შემცირდეს). გუნდების სტატუსი უნდა ჩამოყალიბდეს პრინციპით — მოყვარულიდან პროფესიონალიზმისკენ. საკავშირო თუ მსოფლიო საფეხბურთო პრაქტიკიდან უნდა ავიღოთ ყველა საუკეთესო ატრიბუტი, რომელიც საინტერესოს გახდის ეროვნულ ჩემპიონატს.

1990 წელს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ფეხბურთელებს დაუწესდეს მეორე ლიგისთვის განსაზღვრული ხელფასი, ხოლო მომდევნო წლებში შეიცვალოს ვითარების შესაბამისად, ეროვნული ჩემპიონატის საბოლოო სახის ჩამოყალიბების შემდეგ კი დღევანდელი უმაღლესი ლიგის (საკავშირო) გამოცდილებით. 1990 წლიდან ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე მოწინავე გუნდებს მიეცეთ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობის საშუალება (ნაკრებზე უკვე ზემოთ მოგახსენეთ). პირველი ეროვნული ჩემპიონატიდან დაწყებული, ტელევიზიით გადაიცეს რამოდენიმე ცენტრალური ან გადამწყვეტი მატჩი. ყოველი ტური გამუქდეს კვალიფიციურად. რადიოტელევიზიის, პრესის საშუალებით გამოცხადდეს და გამოქვეყნდეს მეორე დღეს ყველა შედეგი. ასევე მაღალ დონეზე უნდა წარიმართოს ყოველწლიურად ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შორის რესპუბლიკური თასი. თასის მფლობელ გუნდს მიეცეს საერთაშორისო თამაშებში მონაწილეობის უფლება, ხოლო გუნდის წევრებს მიენიჭოთ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების წესდებით განსაზღვრული წოდება. პირველი ჩემპიონატის დაწყებამდე მზად უნდა გვქონდეს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების წესდება, სადაც ჩამოყალიბდება ყველა ძირითადი დებულება.

## ფეხბურთელი-ეკიმისველი

**ბრიუსელი.** ცხენოსნობაში მსოფლიო თასის გათამაშების ევროპის ზონამ ახალი ლიდერი წარმოაჩინა. ეს გახლავთ მორიგ ეტაპზე გამარჯვებული ფრანგი კონკურისტი როქე ივი, რომელმაც 3 ქულით გაუსწრო ადრე დაწინაურებულ დასავლეთგერმანელ ფრანკ სლოტხაკს.

**პარმა.** ფრენბურთელ ვაჟთა ადგილობრივი გუნდი „მაქსიკონო“ კლუბებს შორის პირველი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მან დაძაბულ ორსაათიან ბრძოლაში დაამარცხა სსრ კავშირის ცსკა — 3:1.

**სტოკჰოლმი.** სკანდინავიის მაგიდის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. პირველი ადგილი წილად ხვდა სამხრეთ კორეის გუნდს, რომელმაც ფინალში შვეიცის წარმომადგენლები დაჯაბნა — 3:1.

**ბრაზილია.** 17 წლამდე ფრენბურთელ გოგონათა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი საბჭოთა ნაკრებმა მოიგო. ფინალში მან მასპინძელთა გუნდს აჯობა — 3:2.

**ნიუ-იორკი.** ვოსკრესენსკის „ხიმიკის“ ჰოკეისტებმა მეოთხე ამხანაგურ მატჩში დაამარცხეს ნჭლ-ს ლიგის წევრი „დეტროიტ რედ უინგზი“ — 4:2.

**ჰონოლულუ.** ამ ქალაქის ტრადიციულ მარათონში პირველად მიიღეს მონაწილეობა საბჭოთა მძლეოსნებმა, რომელთაგან ფინიშთან მეცხრე იყო ტატიანა გრიდნიოვა. საუკეთესო დრო კი ჰოლანდიელ კარლა ბეიერსკენსს ჰქონდა — 2:31.49. ვაჟებში პირველობა ტანზანიელმა სტაიერმა საიმონ რობერტ ნადლიმ მოიპოვა — 2:11.47.

# ურეხელ ფეხბურთელთა გამარჯვება

**რამდენიმე** თვე გაგრძელდა აჭარის 1989 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში ფიზკულტურის კოლექტივებს შორის. ასპარეზობაში მონაწილე 16 გუნდი დაყოფილი იყო 4 ქვეჯგუფად.

გადამწყვეტ ეტაპზე ერთმანეთს უძლიერესის სახელს ეცილებოდნენ „შევარდენი“ (ურეხი), „ამირანი“ (ხელვაჩაურა), „ნარინჯი“ (ჩაქვი) და „მზიური“ (ჭარნალი).

ფინალურ ეტაპზე წარმატებით იასპარეზეს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხის ფეხბურთელებმა. მათ ანგარიშით 7:0 დაამარცხეს ჭარნალის, 5:2 — ჩაქვისა და 4:2 — ხელვაჩაურის გუნდები, დააგროვეს ქულათა მაქსიმალური რაოდენობა და პირველად მოიპოვეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება. ეს ურეხელი ფეხბურთელების დიდი წარმატებაა. მეორე ადგილზე გავიდა ხელვაჩაურის გუნდი, ხოლო მესამეზე — ჩაქვის „ნარინჯის“ კოლექტივი. წლევანდელ ჩემპიონატში ზოგიერთი გუნდი შარშანდელზე უკეთესად იყო მომზადებული, მაგრამ გუნდების ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების დონე დაბალი იყო.

როგორც გაირკვა, ყველა გუნდში ჯერეოვან სიმაღლეზე არ დგას დისციპლინა. ურეხისა და ხელვაჩაურის გუნდების ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ ხელვაჩაურელი ფეხბურთელები უდიერად მოეკცნენ მსაჯს. მეჯინისწყლის გუნდის მოთამაშე გ. ბერიძე არბიტრთან მიიჭრა და მსაჯს ემბლემა ჩამოაგლიჯა. იყო სხვა დარღვევები, გაძევებები მინდვრიდან, უწესრიგობაში მწვრთნელებსაც მიუძღვით ბრალი.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ აჭარის ფეხბურთელთა გუნდებში აუცილებლად უნდა ამაღლდეს როგორც სპორტული ოსტატობის, ისე იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე. გამართული ასპარეზობის შესახებ საგანგებოდ იმსჯელებენ აჭარის სპორტკომიტეტი და ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი.

**ოთარ მურვანიძე.**

ბათუმი.



# იტალია-90

# მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარი

9 დეკემბერს რომში 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე 24 გუნდის წინასწარ ჯგუფებად განაწილების შემდეგ დადგინდა კალენდარიც, რომლის მიხედვით ითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი.

გთავაზობთ მსოფლიოს XIV საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილეთა განლაგებას ჯგუფებში, ქალაქებს, სათამაშო დღეთა განრიგს (ჯგუფები დასახელებულია ლათინური ანბანის მიხედვით).

### „ა“ ჯგუფი

**იტალია, ავსტრია, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩეხოსლოვაკია.**

მატჩები ჩატარდება რომსა და ფლორენციაში.

**9 ივნისი.** იტალია — ავსტრია (რომი).

**10 ივნისი.** აშშ — ჩეხოსლოვაკია (ფლორენცია).

**14 ივნისი.** იტალია — აშშ (რომი).

**15 ივნისი.** ავსტრია — ჩეხოსლოვაკია (ფლორენცია).

**19 ივნისი.** იტალია — ჩეხოსლოვაკია (რომი), ავსტრია — აშშ (ფლორენცია).

### „ბ“ ჯგუფი

**არგენტინა, სსრ კავშირი, კამერუნი, რუმინეთი.**

მატჩები ჩატარდება მილანში, ბარისა და ნეაპოლში.

**8 ივნისი.** არგენტინა — კამერუნი (მილანი).

**9 ივნისი.** სსრ კავშირი — რუმინეთი (ბარი).

**13 ივნისი.** არგენტინა — სსრ კავშირი (ნეაპოლი).

**14 ივნისი.** კამერუნი — რუმინეთი (ბარი).

**18 ივნისი.** არგენტინა — რუმინეთი (ნეაპოლი), კამერუნი — სსრ კავშირი (ბარი).

### „გ“ ჯგუფი

**ბრაზილია, შვეიცია, შოტლანდია, კოსტა-რიკა.**

მატჩები ჩატარდება ტურინსა და გენუაში.

**10 ივნისი.** ბრაზილია — შვეიცია (ტურინი).

**11 ივნისი.** კოსტა-რიკა — შოტლანდია (გენუა).

**16 ივნისი.** ბრაზილია — კოსტა-რიკა (ტურინი), შვეიცია — შოტლანდია (გენუა).

**20 ივნისი.** ბრაზილია — შოტლანდია (ტურინი), შვეიცია — კოსტა-რიკა (გენუა).

### „დ“ ჯგუფი

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იუგოსლავია, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, კოლუმბია.**

**9 ივნისი.** არაბ. გაერთ. საემირ. — კოლუმბია (ბოლონია).

**10 ივნისი.** გფრ — იუგოსლავია (მილანი).

**14 ივნისი.** იუგოსლავია — კოლუმბია (ბოლონია).

**15 ივნისი.** გფრ — აგს (მილანი)

**19 ივნისი.** გფრ — კოლუმბია (მილანი), იუგოსლავია — აგს (ბოლონია).

### „ე“ ჯგუფი

**ბელგია, სამხრეთ კორეა, ურუგვაი, ესპანეთი.**

მატჩები ჩატარდება ვერონასა და უდინეში.

**12 ივნისი.** ბელგია — სამხ. კორეა (ვერონა).

**13 ივნისი.** ურუგვაი — ესპანეთი (უდინე).

**17 ივნისი.** ბელგია — ურუგვაი (ვერონა), სამხ. კორეა — ესპანეთი (უდინე).

**21 ივნისი.** ბელგია — სამხ. კორეა (ვერონა), სამხ. კორეა — ურუგვაი (უდინე).

### „ფ“ ჯგუფი

**ინგლისი, ირლანდია, ჰოლანდია, ეგვიპტე.**

მატჩები ჩატარდება კალიარისა და პალერმოში.

**11 ივნისი.** ინგლისი — ირლანდია (კალიარი).

**12 ივნისი.** ჰოლანდია — ეგვიპტე (პალერმო).

**16 ივნისი.** ინგლისი — ჰოლანდია (კალიარი).

**17 ივნისი.** ირლანდია — ეგვიპტე (პალერმო).

**21 ივნისი.** ინგლისი — ეგვიპტე (კალიარი), ირლანდია — ჰოლანდია (პალერმო).

**მერვედფინალში** გავლენ ჯგუფები, რომლებიც ჯგუფებში დაიკავებენ პირველ-მეორე ადგილებს, მათ გარდა მერვედფინალში მონაწილეობას მიიღებს ჯგუფებში მესამე ადგილებზე გასული 4 გუნდი მათ მიერ ნაჩვენები უკეთესი შედეგების მიხედვით.

მერვედფინალის შეხვედრები გაიმართება 23, 24, 25 და 26 ივნისს ნეაპოლში, ბარიში, ტურინში, მილანში, რომში, გენუაში, ბოლონიასა და ვერონაში.

**მეოთხედფინალური** შეხვედრები გაიმართება 30 ივნისს რომსა და ფლორენციაში, 1 ივლისს — ნეაპოლსა და მილანში.

**ნახევარფინალები** შედგება 3 ივლისს ნეაპოლში და 4 ივლისს ტურინში.

**მატჩი მესამე ადგილისთვის** გაიმართება 7 ივლისს ბარიში.

**მსოფლიოს XIV ჩემპიონატის ფინალური მატჩი პირველი ადგილისთვის შედგება რომის „ფორო-იტალიკოს“ სტადიონზე 8 ივლისს.**

# ვერ გაარკვიეს...

**ჩვენმა** საფეხბურთო საზოგადოებრიობამ კარგად იცის რა უთანხმოებებიცაა საკავშირო საფეხბურთო ხელმძღვანელობაში. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია, საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო ერთის მხრივ, და ახლად შექმნილი სსრკ საფეხბურთო ლიგათა კავშირი ვერ შეთანხმებულან მომავალი წლის შეჯიბრებათა თაობაზე და, როგორც ჩანს, ჯერჯერობით არც აპირებენ კომპრომისული შეთანხმების მიღწევას. ყველა თვის მხარეს ექაჩება ჩვენს ფეხბურთს.

არის სხვა უთანხმოებანიც. სულ ახლახან გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელები ა. კობელევი და ი. დობროვოლსკი მოსკოვის „სპარტაკში“ აპირებენ გადასვლას. ეს ხმები „სპარტაკის“ ხელმძღვანელობამაც დაადასტურა, მაგრამ უკვე ამის შემდეგ პრესაში განცხადებით გამოვიდა მოსკოვის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის თავმჯდომარე ვ. პილგუი, რომელიც ირწმუნება, რომ ი. დობროვოლსკისა და ა. კობელევის „სპარტაკში“ გადასვლის თაობაზე ლაპარაკი ნაადრევია, ეს საკითხი მოსკოვის „დინამოში“ ჯერ არც გადაუწყვეტიათ. გარდა ამისა, ა. კობელევს მოსკოვის „დინამოსთან“ კონტრაქტი დადებული აქვს 1992 წლამდე და კლუბის ხელმძღვანელობა არც ფიქრობს ამ კონტრაქტის დარღვევას.

ჩვენ კარგად გვახსოვს, ამ ორიოდე წლის წინ დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის განცხადება იმის თაობაზე, რომ კლუბს ტოვებენ და კიევის „დინამოში“ თამაშს აპირებენ წამყვანი ფეხბურთელები ო. პროტასოვი და გ. ლიტოვჩენკო. ეს ხმები კატეგორიულად უარყო კიევის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ, მაგრამ სულ ორი კვირის შემდეგ ო. პროტასოვი და გ. ლიტოვჩენკო ხელფასს უკვე კიევის „დინამოში“ ღებულობდნენ...

# ფოთის „კოლხეთი“ განგლადეშვი

**წარმატებით** იასპარეზა წლევანდელ სეზონში II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში ფოთის „კოლხეთმა“, რომელმაც მეორე ადგილი და პროფკავშირთა თასი მოიპოვა.

„კოლხეთი“ გაისად სამეურნეო ანგარიშზე გადავა და, ალბათ, 1990 წლის საფეხბურთო სეზონში უფრო დიდ მიზნებს დაისახავს.

ამას წინათ „კოლხეთი“ ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად განგლადეშში მიიწვიეს. პირველი მატჩი ჩვენს ფეხბურთელებს ქ. დაკაში ახალგაზრდულ ნაკრებთან ჰქონდა და გაიმარჯვეს ანგარიშით — 4:1. სტუმართგან ბურთები გაიტანეს ა. ბესტაევმა-2, ნ. მიქაბერიძემ და ნ. მთვარაძემ. მეორე მატჩი ფოთელებმა ქ. მაიმანსინგზში გამართეს და აქაც გაიმარჯვეს — 3:1. აქ თავი გამოიჩინეს ნ. მთვარაძემ, რომელმაც ორი ბურთი გაიტანა, და ნ. მიქაბერიძემ. მესამე მატჩში ქ. სილხეტში ფრე — 0:0 აღინიშნა. ბოლო მატჩი ჩვენმა ფეხბურთელებმა განგლადეშის ნაკრებთან ჩაატარეს და კვლავ წარმატებით — 2:0. გოლების ავტორები — გ. გიორგაძე და ო. ავრამიდისი.

**ტრისტან მანია.**

# „კლუბის ერთგულებისათვის“

**კიევის** საქალაქო გაზეთ „პრაპორ კომუნიზმუს“ და ქალაქის სპორტკომიტეტის ეს პრიზი გადაეცემა ფეხბურთელს, რომელიც უმაღლეს ლიგაში ყველაზე მეტ მატჩს ჩაატარებს ერთი კლუბის შემადგენლობაში.

1986 წელს იგი მიეკუთვნა ოლეგ ბლოხინს (412 თამაში კიევის „დინამოში“), 1987 წელს — მიხეილ სოკოლოვსკის (400 მატჩი დონეცკის „შახტიორში“) და 1988 წელს — ვლადიმერ პლოსკინას (370 თამაში ოდესის „ჩერნომორეცში“).

წლეულს პრიზი მიეკუთვნა მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელს ფედორ ჩერენკოვს, რომელიც ამ კლუბში 13 წელია გამოდის (333 მატჩი).

# სტავროპოლელი ფეხბურთელი —ბულგარეთში

**როგორც** ცნობილი გახდა, ბულგარეთის უმაღლეს ლიგაში ჩაირიცხა პირველი უცხოელი ფეხბურთელი. ესაა სტავროპოლის „დინამოს“ თავდამსხმელი სერგან ოსიპოვი, რომელიც ითამაშებს ბულგარეთის უმაღლესი ლიგის დებიუტანტის ქ. პაზარჯიკის „ხებერის“ შემადგენლობაში, პაზარჯიკი კი სტავროპოლის დაძმობილებული ქალაქია.

წინასწარი კონტრაქტი გაფორმებულია 8 თვით. ს. ოსიპოვი სსრ კავშირის I ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია, 1985 წელს მან უმაღლეს ლიგაშიც ითამაშა ერევნის „არარატის“ შემადგენლობაში.

# ფეხბურთში სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონატის ფინალური მატჩის ექო

**როგორც** ცნობილია, ქართველმა საზოგადოებრიობამ ამას წინათ გულთბილად აღნიშნა თბილისის „დინამოს“ მიერ პირველად სსრ კავშირის ჩემპიონობის მოპოვების 25 წლისთავი. ზეიმს, რომელიც კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა, მოჰყვა მიხეილ მესხის თასის გათამაშების საერთაშორისო ტურნირის ბოლო დღეს გამართული მეტად საინტერესო მატჩი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ 1964 წლის შემადგენლობებს შორის.

გთავაზობთ საუბარს იმ დაუვიწყარი ტაშკენტური „ოქროს“ მატჩის ტორპედოელ მონაწილეებთან: ვ. შუსტიკოვთან, ვ. სარაევთან და ვ. მარუშკოსთან.

**ვიქტორ შუსტიკოვი — მოსკოვის „ტორპედოს“ სპორტული სკოლის დირექტორი და უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი:**

— **ტაშკენტში** საასპარეზოდ „ტორპედო“ ჩვენმა კაპიტანმა ვალენტინ ივანოვმა გამოიყვანა. აი, მოედნიდან კი გუნდის გაყვანა უკვე მე მომიწია. გახსოვთ, ალბათ, მას ნატკენი ფეხის კუნთი გაეჭიმა. მიატოვა თუ არა ივანოვმა თამაში, მაშინვე ვიფიქრე: წავაგებთ! მატჩამდე კი გამარჯვებაზე ვფიქრობდით, თუმცა, თქვენი გუნდისა არ იყოს, გადაღლილი ვიყავით ძნელი სეზონის გამო. ტაშკენტის მატჩში თავისუფალი მცველის ფუნქციებს ვასრულებდი, დინამოელ თავდამსხმელებს კი პირველი ჩვენი უკანდახეული ნახევარმცველი მარუშკო ხვდებოდა. პირველი ტაიმი „ტორპედოს“ უპირატესობით წარიმართა, მერე კი თბილისელებმა თანდათანობით ხელთ იგდეს ინიციატივა, ხოლო დამატებით დროში მთლიანად დაგვჯაბნეს.

ალბათ გაინტერესებთ, ჩვენი იმ შემადგენლობის ბედ-იღბალი? მეკარე ედუარდ შაპოვალენკო უფროს მწვრთნელად მუშაობს მოსკოვში ერთ-ერთი რაიონის ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში, ვიაჩესლავ ანდრეიუკი სპორტში არ მუშაობს, იგი ქალაქის ერთ-ერთ საბინაო-საქსპლოატაციო უბანში მსახურობს, ვლადიმერ მუშერიაკოვი სამი წლის წინ გარდაიცვალა, ვლადიმერ სარაევი პროფკავშირების სისტემაში მოღვაწეობს, ვალერი ვორონინი, იცით, ასევე გამოეთხოვა სიცოცხლეს ამ ათიოდე წლის წინ, ვიაჩესლავ მარუშკო მოსკოვის ბავშვთა სპორტულ სკოლა „სმენას“ მწვრთნელია, ვიაჩესლავ სოლოვიოვი სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, ვალენტინ ივანოვი, როგორც ცნობილია, მოსკოვის „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელია, ვლადიმერ შჩერბაკოვი, ოლეგ სერგეევი და ვლადიმერ სიდოროვი სპორტში არ მუშაობენ.

სამმა ტორპედოელმა ტაშკენტური შემადგენლობიდან, როგორც ნახეთ, ითამაშა მესხის ტურნირშიც. სხვათა შორის, ჩვენთან ერთად ჩამოვიდა გუნდის ყოფილი მარჯვენა მცველი ალექსანდრ მედაკინი — თქვენი მიშას ძველი „ოპონენტი“ (გახსოვთ, თასის ფინალური მატჩი მოსკოვში 1960 წელს?), მაგრამ ნატკენი ფეხის გამო ახლა ვერ გამოვიდა მოედანზე.

**ვლადიმერ სარაევი — სპორტის ოსტატი:**

— **იმ** მატჩში, მინდვრიდან ჩვენი კაპიტნის ვალენტინ ივანოვის წასვლის შემდეგ, მართლაც ძალიან გაგვიჭირდა, პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ივანოვზე ხომ ერთდროულად ორ დინამოელ ფეხბურთელს „ეჭირა თვალი“, რაც პარტნიორებს მოქმედებას უადვილებდა. თამაში ჩვენი გუნდის იერიშით დაიწყო, ჯერ ოლეგ სერგეევმა ხუთი მეტრიდან ვერ გაიტანა გოლი — სერგო კოტრიკაძემ რაღაც სასწაულით მოიგერია ბურთი კუთხურზე, მერე ვლადიმერ შჩერბაკოვის უძლიერესი დარტყმიდან ბურთი მოხვდა ძელს. ამ დღეს შჩერბაკოვმა მაინც აიღო თბილისელთა კარი, თუმცა, ეს იყო და ეს! თბილისელთა ერთ-ერთი იერიშის დროს ჩვენმა მარჯვენა მცველმა ვიაჩესლავ ანდრეიუკმა პირით ხაზს იქით გაგზავნა ბურთი. ილია დათუნაშვილმა, მართლაც, საუცხოოდ ჩამოაწოდა კუთხური, ბურთმა ტრაექტორია შემოხაზა და შორეულ კუთხესთან ჩაეშვა კარში — სწორედ აქ უნდა ყოფილიყო შაპოვალენკო, მაგრამ ამაოდ. ცხადია, საერთოდ მასზე ბევრად უკეთ ანზორ კავაზაშვილი თამამობდა, მაგრამ მწვრთნელთა საბჭომ იქვე, ტაშკენტში თამაშის წინ ერთი დღით ადრე გადაწყვიტა კარში შაპოვალენკოს დაყენება. საქმე ის არის, რომ კავაზაშვილმა აშკარად სუსტად ითამაშა 22 ოქტომბერს ჩემპიონატის მატჩი თბილისში (წავაგეთ 1:3) და მერე, რამდენადაც მახსოვს, ტაშკენტში იგი მხარს იტკივებდა. მეორე ბურთიც დათუნაშვილმა დამატებით დროში გაიტანა: ვეცადე შემეჩერებინა ბურთი, უხერხულად ვითამაშე და მოულოდნელად საიდანღაც „გამოჩმხატარი“ დათუნაშვილი დაეუფლა მას და წინ გაიყვანა „დინამო“. ამის შემდეგ თამაში ფაქტიურად... წაგებული გვქონდა. ერთი რამ მინდა მაინც აღვნიშნო, თუმცა ეს ჩემი სუბიექტური აზრია: დღესაც მგონია, რომ შჩერბაკოვის პირველი ბურთი არ იყო თამაშგარედან გატანილი. ასეა თუ ისე, ქართველმა ფეხბურთელებმა ის მატჩი მოიგეს და დამსახურებულად ავიდნენ პირველად ფეხბურთის ოლიმპზე.

**ვიაჩესლავ მარუშკო — სპორტის ოსტატი:**

— **ჩემპიონატის** შვიდი თვის მანძილზე 32 მატჩი ჩავატარეთ იმ სეზონში, ამასთან მეტად დაღლილები ჩამოვედით იტალიის ტურნედან. ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე ბორის ბატანოვი აპენდიციტით დაწვა საავადმყოფოში და ტაშკენტში, ცხადია, ვერ წამოვიდა. ვლადიმერ სიდოროვმა (ვალენტინ ივანოვი რომ შეცვალა) პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში, თანაც ასეთ პასუხსაგებ მატჩში. ყველაფერი ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი გუნდის პოზიციებიდანაა. მაგრამ განა ასევე მდგომარეობაში არ იყვნენ თქვენი დინამოელებიც, რომლებსაც აკლდათ ტრავმირებული ხურცილავა, ჩიხელი. ერთი სიტყვით, შანსები თითქოს თანაბარი იყო. ტაშკენტში ჩასვლისას მზადება „ფახთაქორის“ ბაზაზე გავაგრძელეთ. მატჩამდე დინამოელებს არ შეეხვედრივართ, მაგრამ ჩვენამდე აღწევდა ხმები, რომ საქართველოდან ძალიან ბევრი გულშემატკივარი (რამდენიმე ათასი) ჩამოვიდა და სტადიონის მთელი ბილეთები შეისყიდესო. ყოველივე ეს ცოტა გადაჭარბებული ინფორმაცია გამოდგა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თქვენი გულშემატკივრები, მართლაც, მზურვალედ, ტემპერამენტიანად უჭერდნენ მხარს საყვარელ გუნდს. ორივე მხარეს, ცხადია, ძალიან სურდა გამარჯვება. გაიმარჯვა უფრო ღირსეულმა! ეგებ ეს წარმატება თბილისის 22 ოქტომბრის მატჩის შემდეგ დაიწყო. სხვათა შორის, ვიქტორ შუსტიკოვი თავის წიგნში „ფეხბურთი მთელი სიცოცხლის მანძილზე“ იხსენებს, რომ ერთ-ერთი თბილისური გაზეთი იმ მატჩის წინ წერდა: „ვინც დღეს გაიმარჯვებს, ის გახდება ჩემპიონი!“ ასეც მოხდა. ჩვენ პირველებმა მივულოცეთ დინამოელებს ოქროს მედლები.



**ბაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.**

**ССР КАВШИРІС ЧЕМПІОНАТІ КАЛАТАБУРТШІ**

# გამოტოვებული მატჩი

**კაუნასი.** როგორც ვიუწყებოდით, პირველი შეხვედრა „ჟალგირისმა“ ტალინის „კალევს“ მხოლოდ 5 ქულის სხვაობით მოუგო (83:78). ბუნებრივია, მეტოქეთა განმეორებითი მატჩი კალათბურთის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევდა, მაგრამ იგი არ შედგა. ლიტველი სპორტსმენები ისრაელს გაემგზავრნენ, სადაც ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ადგილობრივ გუნდთან კალენდარული შეხვედრა უნდა ჩაატარონ. ეს, თუ არ ვცდებით, საკავშირო ჩემპიონატში მეხუთე გამოტოვებული მატჩი იქნება.

**კიევი.** მძაფრი, დაძაბული ბრძოლით აღინიშნა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, ადგილობრივი „ბუდიველნიკის“ მეორე მატჩიც რიგის ვეფ-თან. პირველი ბრძოლა, გახსოვთ ალბათ, მასპინძლებმა მოიგეს ორი ქულის სხვაობით. „ბუდიველნიკმა“ ამჯერადაც გაიმარჯვა მცირე უპირატესობით — 3 ქულით (103:100), საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლების პერსპექტივები უფრო ოპტიმისტური ჩანდა (58:47), მაგრამ შესვენების შემდეგ ვეფ-მა მკვეთრად გააძლიერა თამაში და ბრძოლის ბედი (კიეველთა სასარგებლოდ) ფაქტიურად ბოლო წუთებზე გადაწყდა.

**ალმა-ათა.** ადგილობრივმა არმიელებმა მეორე შეხვედრაც მოუგეს ვილნიუსის „სტატიბას“ 83:72 (41:30) და პირველ სამეულში შევიდნენ.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 12 დეკემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 17 | 16 | 1 | 33 |
| ვეფ (რიგა) | 18 | 11 | 7 | 29 |
| ასკ (ალმა-ათა) | 16 | 11 | 5 | 27 |
| „კალევი“ (ტალინი) | 17 | 10 | 7 | 27 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 16 | 10 | 6 | 26 |
| „ჟალგირისი“ (კაუნ.) | 17 | 9 | 8 | 26 |
| რტი (მინსკი) | 18 | 8 | 10 | 26 |
| „ბუდიველნიკი“ (კ.) | 16 | 9 | 7 | 25 |
| „სპარტაკი“ (ლენ.) | 18 | 6 | 12 | 24 |
| „შახტიორი“ (დონ.) | 18 | 5 | 13 | 23 |
| „დინამო“ (თბ.) | 15 | 5 | 10 | 20 |
| „სტატიბა“ (ვილნ): | 18 | 2 | 16 | 20 |



# ათწლეულის საუკეთესო მძლეოსნები

**ამ** ბოლო ხანებში ტრადიციად დამკვიდრდა ათწლეულის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენების გამოვლენა ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ცურვაში, კრივში და სხვა სახეობებში.

ბოლო 10 წლის საუკეთესო მძლეოსნად ვაჟთა შორის აღიარეს ოლიმპიური თამაშების 6 ოქროს მედლის მფლობელი ამერიკელი ზანგი სპრინტერი კარლ ლუისი და მსოფლიო რეკორდსმენი 400 მეტრზე რბენაში ქალთა შორის მარიტა კოხი (გდრ). ყოველ შემთხვევაში, ასეთი აზრისა არიან ამერიკულ ჟურნალ „ტრეკ ენდ ფილდ ნიუსის“ ტრადიციული კონკურსის მონაწილენი.

მართლაც, კარლ ლუისის მაჩვენებლები სპრინტში თვალსაჩინოა: მან ოლიმპიურ თამაშებზე მიაღწია დიდ წარმატებებს, დახურულ დარბაზებში რამდენჯერმე გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდები სიგრძეზე ხტომაში, 60 იარდზე რბენაში, ესტაფეტაში 4X100 მეტრზე. მომომხილველები აღნიშნავენ, რომ მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია სპრინტერები, რომლებმაც ორჯერ და ეფერო მეტჯერ გაირბინეს 100 მეტრი 10 წამზე სწრაფად, კარლ ლუისმა კი ეს შეძლო 12-ჯერ. სიგრძეზე ხტომაში მან 50-ჯერ აჩვენა 8,53 მეტრი და უკეთესი შედეგი.

ვაჟთა შორის ათეულის საუკეთესო მძლეოსანთა შორის მეორე ადგილზეა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ჭოკით ხტომაში სერგეი ბუბკა. გარდა ამისა, კიდევ ორი საბჭოთა სპორტსმენი მოხვდა საუკეთესო ათეულში— ეროს მტყორცნელები იური სედიხი და სერგეი ლიტვინოვი.

**სურათზე: კარლ ლუისი**

ქალთა შორის პირველი ადგილი, როგორც ვთქვით, დაიკავა 32 წლის მარიტა კოხმა. მან სარბიელზე პირველ დიდ წარმატებას 1978 წელს მიაღწია, როცა ევროპის ჩემპიონატში ერთბაშად 3 ოქროს მედალი მოიპოვა. საერთოდ, მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში მარიტა კოხმა 32-ჯერ განაახლა მსოფლიო რეკორდები. ქალთა საუკეთესო ათეულში მერვე ადგილზეა მორბენალი ტატიანა კაზანკინა.

# ეროვნული ნაზრდი

**მანჩესტერი.** (გვრ) საერთაშორისო ჟურნალისტთა გაერთიანება „ინტერნაციონალ შპორტ-კორესპონდენცი“ ყოველწლიურად აწყობს გამოკითხვას წლის საუკეთესო სპორტსმენების გამოსავლენად. გამოკითხვაში, ტრადიციულად, მრავალი ჟურნალ-გაზეთი მონაწილეობს.

ვაჟთა შორის პირველი ადგილის პრეტენდენტები უმთავრესად იყვნენ განთქმული ველოსიპედისტი ველომრბოლი გრეგ ლემონდი (აშშ) და პოპულარული ჩოგბურთელი ბორის ბეკერი (გფრ). ხმების მცირე უპირატესობით (125:117) გაიმარჯვა ლემონდმა. სამაგიეროდ, ქალთა შორის მეტოქე არ ჰყავდა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელს შტეფი გრაფს (გფრ), რომელმაც 184 ხმა მიიღო და შორს ჩამოიტოვა ფრანგი ველოსიპედისტი ლონგო (94 ხმა). საინტერესოა, რომ მას შემდეგ, რაც ისკი-ი ამ გამოკითხვას აწყობს, ველოსიპედისტი მეხუთედ იმარჯვებს, ჩოგბურთელი ქალი კი მესამედ (ადრე კონკურსში ორჯერ გაიმარჯვა მარტინა ნავრატილოვამ).

სულ დასახელებული იყო 14 ქვეყნის 28 სპორტსმენი, როგორც მოგახსენეთ, ლემონდმა მიიღო 125 ხმა, ბეკერმა — 117. აი დანარჩენებიც: კინგდომი (აშშ, მძლეოსანი) — 73, ტაისონი (აშშ, კრივი) — 64, სოტომაიორი (კუბა, მძლეოსანი) — 50, პროსტი (საფრანგეთი, ავტომრბოლი) 40 და ა. შ. ქალები: გრაფი — 184, ლონგო — 94, შნაიდერი (შვეიცარია, ალპური სახეობები) — 57, ივანი (რუმინეთი, მძლეოსანი) — 56, კიროტი (კუბა, მძლეოსანი)— 55, ტიმოშენკო (საბჭოთა კავშირი, მხატვრული ტანვარჯიში) — 29 და ა. შ.

**ბივი თორელი.**

# კიდევ ორი გამარჯვება

**საქართველოს** პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა საკავშირო პირველობის კიდევ ორი მატჩი ჩაატარა შინ. ამჯერად მისი სტუმარი იყო სიმფეროპოლის უნივერსიტეტის („სპარტაკი“) კოლექტივი. თავიდანვე უნდა ვთქვათ — მასპინძლების უპირატესობა ორივე შეხვედრაში უდაო იყო და ამდენად გამარჯვებაც კანონზომიერი გახლდათ.

პირველ მატჩში თბილისელებმა, ფაქტიურად, ყველაფერი შესვენებამდე მოაგვარეს (42:28) და მეორე ნახევარში ეს უპირატესობა გააორმაგეს — 84:58. ამ გამარჯვებაში გუნდის ყველა წევრმა ერთნაირი წვლილი შეიტანა, მაგრამ მაინც უნდა გამოვყოთ ლორია, რომელმაც გუნდს ყველაზე ბევრი ქულა შესძინა — 35. სტუმართა შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი შუტოვა იყო — 14 ქულა.

განმეორებით შეხვედრაში სიმფეროპოლელებმა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს. ისინი თითქოს უფრო აქტიურადაც თამაშობდნენ, მაგრამ პოლიტექნიკოსთა მწყობრ და მოქნილ დაცვას მაინც ვერაფერი მოუხერხეს. თბილისელმა კალათბურთელებმა ეს შეხვედრაც მოიგეს — 72:56 (39:28) და სატურნირო ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერეს. ამ დღეს ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ მასპინძლებში სირაძე, სტუმრებში — ფედორენკო— 16-16 ქულა.

წლევანდელ სეზონს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა, რაც პირველ ყოვლისა კალათბურთელთა თამაშს დაეტყო. სტუდენტები უფრო მობილურად მოქმედებენ დაცვაში, აზრიანად უტევენ და ნებისმიერ მეტოქეს გადაუჭრელი პრობლემების წინაშე აყენებენ. გუნდი და მისი ხელმძღვანელები ამ გათამაშებაზე, როგორც ჩანს, კონკრეტულ იმედებს ამყარებენ და ჩვენ ყოველმხრივ მივესალმებით მათ „პატივმოყვარულ“ გეგმებს.

**ლიზა აზიზოვა,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**



# მრთნაირი ქულებით...

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში გრძელდება დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა 61-ე ჩემპიონატი.

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს:

**IV ტური:** კაკაბაძე — ყაჟეიშვილი 1:0, პეტრიაშვილი — დგებუაძე 0:1, ლობჟანიძე — პაქსაშვილი 1:0, ბოკუჩავა — სირბილაძე 1:0, ლაზარაშვილი — პოპოვი 0:1, კუჭუხიძე —გოგოლაძე 1:0, ხაბურზანია — ვაშაკიძე 0,5:0,5, მელაშვილი — გოგიჩაიშვილი 0,5:0,5. გადაიდო შალამბერიძე — გოგაძის პარტია.

**V ტური:** პოპოვი — მელაშვილი 1:0, პაქსაშვილი — ბოკუჩავა 1:0, გოგაძე — ლობჟანიძე 0:1, ვაშაკიძე — კაკაბაძე 0:1, დგებუაძე— შალამბერიძე 1:0, ყაჟეიშვილი — პეტრიაშვილი 1:0, გოგიჩაიშვილი — კუჭუხიძე 0,5:0,5, სირბილაძე — ლაზარაშვილი 0,5:0,5. გადაიდო გოგოლაძე — ხაბურზანიას პარტია.

**VI ტური:** კაკაბაძე — პეტრიაშვილი 1:0, შალამბერიძე — ყაჟეიშვილი 1:0, ლაზარაშვილი — პაქსაშვილი 1:0, კუჭუხიძე — პოპოვი 0:1, ვაშაკიძე — გოგოლაძე 0:1, ლობჟანიძე — დგებუაძე 0,5:0,5, ბოკუჩავა — გოგაძე 0,5:0,5, მელაშვილი — სირბილაძე 0,5:0,5. გადაიდო ხაბურზანია — გოგიჩაიშვილის პარტია.

**VII ტური:** ყაჟეიშვილი — ლობჟანიძე 0:1, გოგოლაძე — კაკაბაძე 0:1, პოპოვი — ხაბურზანია 1:0, გოგაძე — ლაზარაშვილი 1:0, გოგიჩაიშვილი — ვაშაკიძე 1:0, სირბილაძე — კუჭუხიძე 0:1, დგებუაძე — ბოკუჩავა 0,5:0,5. გადაიდო პაქსაშვილ-მელაშვილის პარტია, ხოლო პეტრიაშვილ- შალამბერიძის შეხვედრა გადატანილია.

7 ტურის შემდეგ 5,5-5,5 ქულით შეჯიბრებას ერთდროულად ხუთი მოჭადრაკე ჩაუდგა სათავეში, ესენია: რევაზ კაკაბაძე, დავით ლობჟანიძე, ალექსანდრე დგებუაძე, შოთა კუჭუხიძე და იანის პოპოვი.

**ინფორმაცია**

სოლტ-ლეიკ-სიტის (აშშ) თეთრ ბილიკებზე დაიწყო 1989-1990 წლების მსოფლიო თასის გათამაშების პირველი ეტაპი. ორი რბოლის შემდეგ ქალთა შორის 29-29 ქულით ლიდერობენ ლ. ლაზუტინა (სსრკ) და ს. ბელმონდო (იტალია).

**„სპორტპროგნოზი“**

**50-ე ტირაჟის შედეგები (9-10 დეკემბერი)**

1—1, 2—2, 3—2, 4—1, 5—X, 6—1, 7—X, 8—1, 9—1, 10—1, 11—X, 12—1, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

# რაგბის ამბები

**ათი** წელია, რაც ბრიტანული ქვეყნების რაგბის კავშირებს დიდ პატივში ჰყავთ რუმინელი მოჭაგბეები: ბოლო წლებში ამ უკანაკნელთა საგრძნობი წარუმატებლობების მიუხედავად (რუმინელები, 1986 წლიდან მოყოლებული, დამარცხდნენ ირლანდიასთან — 0:60, საფრანგეთთან — 12:55 და 3:49, შოტლანდიასთან — 28:55, ინგლისთან — 3:58), ბრიტანელები მაინც არ წყვეტენ მათთან კავშირს ეროვნულ ნაკრებთა დონეზე და რუმინელებს რიგრიგობით ეთამაშებიან.

ამ სეზონში რუმინეთთან თამაშის ჯერმა შოტლანდიას მოუწია. ტესტ-მატჩი გასულ შაბათს ედინბურგის გარეუბან მერიფილდში გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ თავდადებით მოთამაშე სტუმრებმა ძლიერ მეტოქეს არც თამაშის საწყის 25 და არც ბოლო 20 წუთში ბურთი არ გაატანინეს, თამაში მაინც რუმინელთა მორიგი გამანადგურებელი მარცხით დამთავრდა — 0:32 (0:9).

საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელმაც ფირა-ს ახლადდაწყებულ, 1989-1991 წლების ჩემპიონატში ჯერ რუმინეთს მოუგო ბაიამარეში, (21:13), შემდეგ კი იტალიას (მოსკოვში, 15:12), თავის პირველ ტურნეს მართავს ინგლისში. სასტარტო მატჩში საბჭოთა მოჭაგბეებმა ვერაფერი გააწყვეს საგრაფოთა ბოლო პირველობის ფინალისტთან — ქორნუოლის გუნდთან და ფრეს დასჯერდნენ —12:12.

# რეკორდსმენი არ მიდის სპორტიდან

**როგორც** ჰავანიდან იუწყებიან, „ზამთრის“ მსოფლიო ჩემპიონი და მსოფლიოს „აბსოლუტური“ რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში ხავიერ სოტომაიორი სპორტიდან წასვლას არ აპირებს. ხმები იმის შესახებ, რომ 22 წლის მძლეოსანი შესაძლებელია გამოეთხოვოს სპორტს, გავრცელდა მას შემდეგ, რაც სოტომაიორმა ტრავმა მიიღო და ორი თვით შეწყვიტა ვარჯიში.

როგორც ცნობილია, ბარსელონაში, მსოფლიო თასზე ასპარეზობის დროს, სოტომაიორმა დაიზიანა მარცხენა მუხლი, ეს მოხდა სექტემბერში. მას შემდეგ სპორტსმენი ინტენსიურად მკურნალობს.

— 22 წლის ასაკში სპორტიდან წასვლა სისულელეა. მე არასდროს არ გამიკეთებია ასეთი დაუფიქრებელი განცხადება, თქვა კუბელმა მძლეოსანმა.

სოტომაიორის მკურნალი ექიმის აზრით ვარჯიშის განახლება შესაძლებელი იქნება ან დეკემბრის მიწურულში, ან იანვრის პირველ ნახევარში, იმის ანგარიშით, რომ უკვე აპრილში სოტომაიორი შესძლებს საერთაშორისო ტურნირში გამოსვლას.

შეგახსენებთ, რომ კუბელ სიმაღლეზე მხტომელს ეკუთვნის მსოფლიოს რეკორდები დარბაზშიც (243 სანტიმეტრი) და სტადიონზეც (244 სანტიმეტრი), ამატომაც უწოდებენ მას აბსოლუტურ რეკორდსმენს.

**1989 წლის 17 დეკემბერს, 12 საათზე თბილისში კოოპერატივ „ლელო-89“-ის ბაზაზე (იპოდრომის ტერიტორიაზე) ჩატარდება საქართველოს რბენის მოყვარულთა ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია.**

**დღის წესრიგი:**

1. ასოციაციის წესდების განხილვა და მიღება;

2. ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები;

3. სხვა საკითხები.

დელეგატთა რეგისტრაცია 10-დან 12 საათამდე.

**ორგკომიტეტი.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „შერანი“ — 93-97-26, „ბართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10578